პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 მაისი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 106 (15623)

ხუთწლედი — ვადამდე!

ეროვნულ ეკონომიკაში ეფექტიანობა ეფექტიანობა! ეფექტიანობა!

- კ. სოფრომაძის ბრიგადის ანგარიშზეა 30 ტონა ზეგეგმითი ფეროშენადნობი.
- გაზიფიცირებულია 14.440 ბინა.
- მანქანა აიოლებს შრომას, ამცირებს დანახარჯებს.

მან თავი ისახელა



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მეცხრე ხუთწლედის მესამე, ვადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ზესტაფონელმა ფერომდნობელებმა ოთხი თვის გეგმა ვადამდე, 30 აპრილისათვის შეასრულეს.

კარგი მაჩვენებლები აქვს № 4 საამქროს კოლექტივს. წლის დასაწყისიდან გამოშვებულია 1.600 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფეროშენადნობი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია საბჭოთა კავშირის 120 სამრეწველო საწარმოსა და საზღვარგარეთის 35 ქვეყანაში იგზავნება.

კალისტრატე სოფრომაძე სამი ათეული წელია ამ საწარმოში შრომობს. ოცი მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ მეგობრულმა კოლექტივმა ოთხი თვის განმავლობაში 30 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფეროშენადნობი გამოადნო.

ხუთათეშებზე: ქვემოთ — მიმდინარეობს დნობა. ზემოთ — მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი კალისტრატე სოფრომაძე.

გ. ბშრსამეს ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ

ᲜᲔᲠᲒᲐᲕᲐᲓ ᲐᲦᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗᲗ ᲧᲘᲜᲕᲘᲗ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲦᲣᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲜᲐᲑᲘᲡᲔᲑᲘ. ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲗᲗ ᲛᲔᲥᲕᲔᲜᲐᲑᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). 24 აპრილს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივმა. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა საწარმოს დირექტორმა ლ. ჩიქვანაიამ, ამ ხნის მანძილზე საწარმომ მოახდინა 2 მილიონ 369 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, რაც ოთხი თვის გეგმას აღემატება. თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში მეტრიკოტაჟეებმა დამატებით მოახდინეს 15 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც საწარმოში პირველი მაისის შესახვედრად იყო გაშლილი, დაწინაურდა № 1 სამკერვალო საამქრო, რომელსაც ა. მეგრელიშვილი ხელმძღვანელობს.

მეტრიკოტაჟეები წელს კარგად შრომობენ. მათ პირველი კვარტალიც კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს, შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (ხაკ. კორ.). დამთავრდა მჩატე ფორებიანი მარგანეცის გამამდიდრებელი მძლავრი საამქროს მშენებლობა. ივი გვერდში ამოუდგა მარგანტრესტის ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკების უზარმაზარ კორპუსებს. მარგანტრესტის დაკვეთით საამქროს პროექტი შექმნეს კრივოი როგის სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. შენობა აგო ჭიათურმშენის სამმართველოს კოლექტივმა. საამქროს უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲙᲗᲔ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (ხაკ. კორ.). ქვიშხეთის ხაბჭოთა მეურნეობაში ფართო გზა დაუთმეს მექანიზაციის გამოფენებს. ხელით შრომა თანდათან მცირდება და, რაც მთავარია, მექანიზაციის საშუალებით ქვიშხეთელები აღწევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა კარტოფილის მექანიზებული თესვა. წელს მეურნეობაში ორი სათესი მუშაობდა და კარტოფილი 25 ჰექტარზე დათესეს.

თუ ხელით შრომის დროს მეურნეობას ერთ ჰექტარზე კარტოფილის დათესვა 67 მანეთი და 14 კაპიკი უჯდებოდა, წელს იმავე ხამუშაოს მექანიზაციით შესრულების დროს მხოლოდ 20 მანეთი და 90 კაპიკი დაიხარჯა.

გარდა შესრულებული სამუშაოს გაიაფებისა, ქვიშხეთელები დროშიც იგებენ. ერთ ცვლაში მანქანა კარტოფილს სამ ჰექტარზე თესავს და მხოლოდ ხუთი კაცი ემსახურება. ამ სამუშაოს შესრულებაზე იმავე დროში კი 150 კაცი იყო საჭირო.

ᲒᲐᲖᲘ — ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს (უფროსი გ. ბარძიმოვი) კოლექტივების კარგ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოში გაზიფიკაციის დაწყების დღიდან უკვე გაზიფიცირებულია 771.000 ბინა, აქედან სოფლად — 297.000.

სამმართველოს კოლექტივების მშრომელებმა მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალი. გეგმით გათვალისწინებული 14.100 ბინის ნაცვლად გაზიფიცირებულია 14.440 ბინა, თხევადი გაზის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 101,4 პროცენტით, გეგმით უნდა მოეხდინათ 729 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის რეალიზაცია, ფაქტიურად კი 738 მილიონი კუბური მეტრის რეალიზაცია მოახდინეს.

მთავარგაზის კოლექტივებმა კარგად იშრომეს აპრილშიც, ვადაზე ადრე შეასრულეს პირველი მაისის სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებები.

ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ხაქართველოს ხაზღვაო სანაოსნოს „ოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი ოთხი თვე, ხომალდების ეკიპაჟებმა, ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფო გეგმები და საპირველმაისო დღესასწაულის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

— ხაზღვაოგადაზიდ ნაოსნობის სატრანსპორტო ფლოტმა ოთხი თვის გეგმა 24 აპრილს შეასრულა, ხოლო ბაკაბატაჟმ — 26 აპრილს.

ᲛᲔᲤᲮᲕᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ხაქართველოს ხაზღვაო სანაოსნოს „ოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი ოთხი თვე, ხომალდების ეკიპაჟებმა, ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფო გეგმები და საპირველმაისო დღესასწაულის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

— ხაზღვაოგადაზიდ ნაოსნობის სატრანსპორტო ფლოტმა ოთხი თვის გეგმა 24 აპრილს შეასრულა, ხოლო ბაკაბატაჟმ — 26 აპრილს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ!

ნება მიმიძღვის მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით, მონგოლი ხალხის სახელით და პირადად გულითადად მოგილოცოთ თქვენ, მშვიდობისა-თვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭება.

მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას და მიაჩნიათ, რომ ეს საპატიო ჯილდო ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისათვის თქვენი თვალსაჩინო მოღვაწეობისა და დაუცხრომელი შეცდინების ღირსეული შეფასებაა.

ჩვენ სიხარულისა და მადლობის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის რეალისტური საგარეოპოლიტიკური სტრატეგია, რომლის შემუშავებასა და განხორციელებაში თქვენ უაღრესად დიდი წვლილი შეგაქვთ, სულ უფრო ნაყოფიერ და პოზიტიურ შედეგებს გვაძლევს გლობალური დაძაბულობის შენელებაში, ყოველსაირი კონფლიქტების საშიში კერების ლიკვიდაციის და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის გაჯანსაღების მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების, სახელმწიფოთა შორის ურთიერთვაჭრებისა და ნდობის განმტკიცების, შექმნილ რეალობათა გათვალისწინების საქმეში. ამ ხელშემწყობ ცვლილებათა საფუძველია საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძალიერების განუხრელი ზრდა, რომელიც მოპოვებულია სოციალისტური ქვეყნების ხალხთა გმირული შრომით.

აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც თქვენი მეთაურობით ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ახასიათებს ღრმა მეცნიერული დასაბუთება, მსოფლიოში კლასობრივი ძალების განწყობის ფრთხილი გათვალისწინება, წამოჭრილ და გადასაწყვეტ პრობლემათა ყველა ასპექტის ყოველმხრივი და ობიექტური ანალიზი, მტკიცე ბრძოლა ავანტიურიზმის ყოველსაახ გამოვლინებათა წინააღმდეგ, დიდი მოქნილობა და ურყევი იდეური პრინციპულობა. ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკა ხავსებით შეესაბამება ყველა კონტინენტის ხალხების, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების საარსებო ინტერესებს, მსოფლიო სოციალიზმის ძირეულ ინტერესებს. ამიტომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდის — სახელოვანი ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დიდი დამსახურების აღიარებას სიხარულით ეხმაურება და მხურვალედ აწონებს მთელი მსოფლიო.

მონგოლეთის მშრომელები განსაკუთრებით მოგესალმებიან თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, როგორც თავიანთ ერთგულ და ურყევ მეგობარს, რომელიც 30-იანი წლების შუახანებში მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფი ხაბჭოთა ჯარების შემადგენლობაში პირად კონკრეტულ დახმარებას გვიწევდით იმპერიალისტ დამპყრობთა ხელყოფისაგან ჩვენი რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში, და ახლა ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ სოციალისტური მონგოლეთის აყვავების, მისი სახელმწიფო სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, ახალ წარმატებებს სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული სამშვიდობო პროგრამის განხორციელებისათვის ხაბჭოთა კავშირის გმირულ მეცადინეობაში, გისურვებთ მრავალ წლის ნაყოფიერ შრომას მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის, საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ტრადიციული ურყევი მეგობრობის შემდგომი ყოველნაირი განმტკიცებისა საკეთილდღეოდ.

უღრმესი პატივისცემით

მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

Ი. ცედენბალი

ᲮᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

ნება მიმიძღვის გულითადად მოგილოცოთ საპატიო ჯილდო — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1972 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება.

მთელ ხაბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ვიწონებთ ხაბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც ჩამოაყალიბა სკკპ XXIV ყრილობამ და რომლის შემუშავებაში თქვენ გადამწყვეტი როლი შესრულეთ, პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

გადმოგცემთ რა ჩემს მოლოცვას, გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ბრეჟნევ, ახალ წარმატებებს თქვენს მუდმივ მეცადინეობაში ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებისათვის ბრძოლაში.

გულითადი სალმით

ᲓᲝᲚᲝᲠᲔᲡ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘ,

ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით პროგრესული ახალგაზრდის სახელით მხურვალედ გილოცავთ მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭებას.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და მსოფლიოს მთელი დემოკრატიული ახალგაზრდობა აცნობენ და დიდად აფასებენ თქვენს მჩქეფარე საქმიანობას, რასაც ეწევით სოციალიზმის, კომუნიზმისა და მთელი კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის მშვიდობისა და უშიშრობის განმტკიცების, მთელი მსოფლიოს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ დღენიადაგ ზრუნავთ ხაბჭოთა ახალგაზრდობის ინტერესებისათვის, რომელიც მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში და ფასდაუდებელ მხარდაჭერას უწევს კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას. ჩვენ, ახალგაზრდობა, არ დავივიწყებთ თქვენს სიტყვებს, რომლებითაც მოგვმართეთ მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის გამო: „ხამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობაზე ბევრად არის დამოკიდებული როგორი იქნება მსოფლიო ახლანდელი ათასწლეულის დამოკიდებისათვის. ახალგაზრდობას ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა კაცობრიობის მომავლისათვის, რადგან მომავალი ეკუთვნის ახალგაზრდებს, იგი ეკუთვნის მშრომელ ხალხს“.

დიდ მადლობას გიძღვნით მთელი მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობის ბრძოლის შთამაგონებელი მხარდაჭერისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს კომუნიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ მუშაობაში.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ბიურო

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანები „პრავდას“ სთუკარულით უწოდებენ ლენინურ გაზეთს. იგი დიდმა ვ. ი. ლენინმა დაარსა და განუყრელად დაკავშირებულია მის სახელთან და საქმეებთან. გაზეთის ყოველდღიური საქმიანობა ლენინური პრინციპების ცოცხალი განსახიერებაა.

6 მაისს გამოდის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო ორგანოს, პარტიის საამდო და ერთგული თანაშემწის „პრავდის“ მეოცათასე ნომერი. „პრავდის“ ფურცლები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გმირული მატიანეა. გაზეთს დიდი წვლილი შეაქვს ბრძოლაში მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პოლიტიკური და იდეური შეკავშირებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა პრესის ფლაგმანმა — ლენინურმა „პრავდამ“ დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. დღეს მისი ერთჯერადი ტირაჟი 10 მილიონს შეადგენს. ყოველდღიურად „პრავდა“ ასახავს ჩვენი ქვეყნის ხალხების შრომითი გმირობის სიდიადესა და გრანდიოზულობას, ხალხებისა, რომლებიც ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაკადი ხელმძღვანელობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის ვადაწყვეტილებებს. (საკუთარი).

ᲞᲘᲡᲘᲜᲯᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

4 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ჰ. კისინჯერი. მას ახლავან თეორი სახლის აპარატის მთელი რიგი პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკუთარი).

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲗᲐᲜ

4 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი მ. აჰმედი.

მ. აჰმედმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა პრემიერ-მინისტრ მუჯიბურ რაჰმანის წერილი.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის მეგობრული თანამშრომლობის საკითხები. მ. აჰმედმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბანგლადეშისა და ინდოეთის მთავრობათა ახალ წინადადებებს სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე ვითარების ნორმალიზაციის საკითხებზე, რომლებსაც შეიცავს მიმდინარე წლის 17 აპრილის ერთობლივი დეკლარაცია.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. ფირიუბინი და ბანგლადეშის ელჩი საბჭოთა კავშირში შამსურ რაჰმანი. (საკუთარი).

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

წელს პრესის დღე — საბჭოთა ჟურნალისტიკის საბრძოლო დათვალიერების დღე აღინიშნება დიდი პოლიტიკური აღმავლობის, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ახალი მიღწევების ვითარებაში.

ტრადიციით პრესის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 4 მაისს აქ შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცენტრალური და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოების, ტელევიზიისა და რადიოს, გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და მუშკორების აქტივის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საზეიმო კრების პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. ა. ზაკოლუპინმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკუთარი).

რადიოტექნიკა — სიახლე, მომსახურება

- დღეს საქართველოში ანთია 400 ათასი ეკრანი.
- წელს ამუშავდება 17 ათასი რადიოწერტილი.
- სოფლის სატელევიზიო სადგურებს შეემატება 2.650 ნომერი.

რადიოს დღე წელს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განსორციელებისათვის. დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის მეკავშირეთა 26-ათასიანი კოლექტივის წინაშე მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებით უწრუნველყოფის საქმეში. შვენ გარკვეული სამუშაოები შესრულდა საქართველოს რადიოკავშირის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარებისათვის.

თბილისში სატელევიზიო სადგური 3 პროგრამას გადაცემს (ცენტრალურს და ორ რესპუბლიკურს), ორ პროგრამად გადაცემებს იღებენ ჭუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ბაკურიანში, ჭითურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ლენინგორში. თუ რა პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში ცენტრალური ტელევიზიისა და საქართველოს ტელევიზიის გადაცემები, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სადღისოდ საქართველოში ტელევიზორების რიცხვმა 400 ათასს მიაღწია. რესპუბლიკაში მოქმედებს 68 სატელევიზიო რეტრანსლატორი, 229 კილომეტრი სიგრძის შიდარესპუბლიკური რადიოსარელეო ხაზები.

მიმდინარე წლის ბოლოს საეჭსლოატაციოდ გადაეცემა 90 კილომეტრი სიგრძის რადიოსარელეო ხაზი თბილისი-ციცი-ყვარელი და აიგება მძლავრი გამაძლიერებელი სადგური ყვარელში. სადგური შესაძლებელს გახდის სამი პროგრამის, მათ შორის ფერადი გადაცემების მიღებას. ხუთწლედის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. კერძოდ შუახვიმი, მუმაობას დაიწყებს გამაძლიერებელი სატელევიზიო სადგური, იგი უზრუნველყოფს ხულოს, შუახვისა და ქედის რაიონებში ტელეგადაცემების მიღებას. შუახვეში დადგმული სადგური ტელეპროგრამებს მიიღებს ბათუმ-მახარაძე-შუახვის რადიოსარელეო ხაზით. მომდინარე წლის პირველ კვარტალში საეჭსლოატაციოდ გადაეცემ ამ რადიოსარელეო ხაზის პირველი უბანი ბათუმი-მახარაძე, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მახარაძეში ტელევადაცემების ხარისხს და ამ რაიონის მშრომელებს საშუალება ეძლევათ უცქირონ ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებსაც. მოლიანად ეს რადიოსარელეო ხაზი მწყობრში ჩადგება 1975 წლისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მეხეთ-ჯავახეთში, კერძოდ, ადიგენში, ასპინძაში, ახალქალაქში, ახალციხეში და ბორჯომში ტელეპროგრამების მიღების ხარისხი დაბალია, ამიტომ ამ რაიონებში ტელეპროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და ორი პროგრამის (რესპუბლიკური და საკავშირო) მისაღებად წელის მეორე სახევარში დაიწყება რადიოსარელეო ხაზის მშენებლობა.

გათვალისწინებულია ბორში აშენდეს გამაძლიერებელი სადგური და თბილისის ძველი ტელეანძა გადატანილ იქნას ამ ქალაქში, რაც შესაძლებლობას მოგვეცემს ბორის, ხაშურის, ჭარელის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებშა მიიღონ როგორც რესპუბლიკური, ისე ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები.

უკანასკნელ ხანს გარკვეული ადგილი დაეთმო რადიოფიკაციას. 1972 წელს უსლესი აპარატურა დამონტაჟდა რადიოკვანძებში. გასულ წელს ჩვენში რადიოწერტილის დადგმის გეგმა 100,4 პროცენტით შესრულდა, დადგა 15.560 რადიოწერტილი, გეგმა კი 15.500-ს ითვალისწინებდა. სულ სადღისოდ საქართველოში 404.122 რადიოწერტილა, აქედან სასოფლო ადგილებში — 147.507. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში 17.300 ახალი რადიოწერტილ დადგმება.

წელის პირველ ნახევარში საეჭსლოატაციოდ გადაეცემა სამპროგრამიანი რადიომაუწყებლობა მახარაძესა და ხაშურში, ხოლო წელის მეორე ნახევარში — გუდაუთასა და ქობულეთში. ახლო მომავალში კავშირგაბმულობის სამინისტრო გეგმავს ონლინძიებებს განახორციელებს მაღალმთიანი რაიონების რადიოფიცირებისათვის.

მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მრავალმხრივი დარგების მომსახურების საქმეში სულ უფრო იზრდება საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის მნიშვნელობა. ამას წინათ თბილისის მთავარ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში გაიხსნა საქალაქთაშორისო საუბრების შეკვეთების ახალი სპეციალური — „08“. ამ ნომრის აკრეფისას თბილისის აბონენტს შეუძლია დაუყოვნებლივი საუბრის შეკვეთა მისცეს მოსკოვს, ლენინგრადს, ბაკოს, ერევანს, ქუთაისს, სოხუმს, ბათუმს, ბორჯომს. სამსახური „08“ შეკვეთებს საშუალოდ 15-20 წუთში ასრულებს. ახლახანს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისში დამონტაჟდეს ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური. ეს სადგური მუშაობას დაიწყებს 1974 წლის პირველ ნახევარში და საშუალებას მისცემს სატელეფონო ქსელის აბონენტებს პირდაპირ თავიანთ ტელეფონზე აკრიფონ მოსკოვის, აგრეთვე ლენინგრადისა და როსტოვის ტელეფონის ნომრები. ასევე, თბილისელები პირდაპირ აკრეფავენ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა ქალაქის ტელეფონის ნომრებს.

მიმდინარე წელს საეჭსლოატაციოდ გადაეცემა მრავალარხიანი სხვტემა თბილისსა და ბოლნისს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს ერთდროულად მოხდეს ათობით სატელეფონო საუბარი. ახალი აპარატურა დადგება ბოლნისსა და დმანისს, ქუთაისსა და ტყიბულს, წითელწყაროსა და გურჯაანს შორის. ამუშავდება შიდაოთხელი ავტომატური ტელეფონის სადგურები თბილისი-ბორჯომი, თბილისი-ახალციხე, თბილისი-საგარეჯო, თბილისი-გორი. რა ეფექტს მოგვცემს ასეთი აპარატურის დამონტაჟება? ბორჯომის, ახალციხის, საგარეჯოს, გორის სატელეფონო ქსელების აბონენტებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარ ტელეფონებზე პირდაპირ აკრიფონ თბილისის ნომრები.

თბილისის მთავარმა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა უკანასკნელ ხანს ერთგვარად გაუმჯობესა მუშაობა, უკეთესად ხდება მოქალაქეებისა და აბონენტების მომსახურება, შემცირდა აბონენტთა საჩივრები. მაგრამ უკეთესი მუშაობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთონ სადგურის უფროსმა შ. კოფენლუმ და მთავარმა ინჟინერმა ბ. კუთელაძემ.

შარშან რუსეთის რესპუბლიკაში სატელეფონო არხების რაოდენობა 299-ით გაიზარდა, ხოლო არხების სიგრძე 5.735 არხ-კილომეტრით. შეიქმნა არხების ახალი მძლავრი კონა როგორც შემოვლითი კავშირისათვის, ისე საბაბინტერო ტელეფონირებისათვის.

თბილისის ცენტრალური ტელეფონის მუშაობამ საეჭსლოატაციოდ გადასცეს ახალი შემეჩიდრეების აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა ტელეფონის 2 წყვილ ხაზში ერთდროულად 12 სატელეფონო კავშირი განხორციელდეს. ამ აპარატურის დანერგვაში თავი ისახელეს ინჟინერებმა კ. ინანაძემ, ა. გრიშენკომ და ტ. ოთარაშვილმა. მართვის ავტომატიზაციისა სისტემების ინფორმაციის გადასაცემად გათვალისწინებულია რესპუბლიკაში გამოყენებულ იქნას ახალი სატელეფონო აპარატი, რომელიც მალე საეჭსლოატაციოდ გადაეცემა და გაუმჯობესებს სატელეფონო კავშირს მოსკოვისა და კრასნოდარის მიმართულებით. ტელეგრაფის ახალი აპარატურის დამონტაჟება გათვალისწინებულია ბათუმსა და მახარაძეს, ხაშურსა და ახალქალაქს, ბათუმსა და ხულოს, თბილისსა და ახალციხეს, თბილისსა და ფოთს შორის.

თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფზე ბევრად არის დამოკიდებული სატელეგრაფო კავშირის მდგომარეობა, რასაც დღეს კარგად ითვალისწინებს თავის მუშაობაში ცენტრალური ტელეგრაფის (უფროსი მ. ედილაშვილი, მთავარი ინჟინერი ე. აგაბეოვი) კოლექტივი.

შარშან რუსეთის რესპუბლიკაში 16.160 ახალი ტელეფონის ნაცვლად დაიდგა 9.776 ტელეფონი და გეგმა მხოლოდ 60,4 პროცენტით შესრულდა. ამიტომ სამინისტროს სათანადო ღონისძიებები დასახა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობის გაუმჯობესებას. ქსელის საჭიროებისათვის დიდი რაოდენობით გამოყოფილია ტელეფონის კაბელი. დაწყებულია ცალკეული მიმართულებით ორსადენიანი შემაერთებელი ხაზების სამსადენიანი ხაზებით შეცვლა, რამაც უნდა გააუმჯობესოს სადგურთაშორისო კავშირი.

ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურები დამონტაჟდება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში. ქუთაისის სატელეფონო ქსელი გაფართოდება 5.000 ნომრით, ხოლო ბათუმისა — 2.000 ნომრით. მიმდინარე წელს ახალი სადგურები გადაეცემა ბოგდანოვკაში, ონში, ყაზბეგში, გაფართოდება საგარეჯოს და ტყიბულში. ცხაკაიასა და ადიგენში დამონტაჟდება 1.000-ნომრიანი სატელეფონო სადგური. 1974 წელს გათვალისწინებულია 1.000-ნომრიანი სატელეფონო სადგურების დამონტაჟება ლენტეხში, ორჯონიკიძეში, თიანეთში, ხულოსა და ცხაკაიაში. 1973 წელს გეგმით გათვალისწინებულია დამონტაჟდეს მცირე ტევადობის ავტომატური სატელეფონო სადგურები რესპუბლიკის მთელ რიგ სოფლებში. სულ სოფლად საეჭსლოატაციოდ გადაეცემა 2.650 ნომერი საერთო ტევადობის ავტომატური სატელეფონო სადგურები.

ამ რამდენიმე დღის წინათ სამინისტროს კოლეგიამ და კავშირგაბმულობის პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეაჯამეს მიმდინარე წლის პირველი სეზონის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და პირველი ადგილი და საქართველოს სსრ კავშიკავბმულობის სამინისტროს და კავშირგაბმულობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა მიაკუთვნეს ორ კოლექტივს — საქართველოს რესპუბლიკურ ტელევენტრს და თბილისის ფოსტამატს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ახალციხის რაიონული კვანძი და ხაშურის საეჭსლოატაციო ტექნიკური კვანძი, მესამე ადგილი დაიკავეს ბორსისა და დმანისს, ქუთაისსა და ტყიბულს, წითელწყაროსა და გურჯაანს შორის. ამუშავდება შიდაოთხელი ავტომატური ტელეფონის სადგურები თბილისი-ბორჯომი, თბილისი-ახალციხე, თბილისი-საგარეჯო, თბილისი-გორი. რა ეფექტს მოგვცემს ასეთი აპარატურის დამონტაჟება? ბორჯომის, ახალციხის, საგარეჯოს, გორის სატელეფონო ქსელების აბონენტებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარ ტელეფონებზე პირდაპირ აკრიფონ თბილისის ნომრები.

თბილისის მთავარმა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა უკანასკნელ ხანს ერთგვარად გაუმჯობესა მუშაობა, უკეთესად ხდება მოქალაქეებისა და აბონენტების მომსახურება, შემცირდა აბონენტთა საჩივრები. მაგრამ უკეთესი მუშაობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთონ სადგურის უფროსმა შ. კოფენლუმ და მთავარმა ინჟინერმა ბ. კუთელაძემ.

შარშან რუსეთის რესპუბლიკაში სატელეფონო არხების რაოდენობა 299-ით გაიზარდა, ხოლო არხების სიგრძე 5.735 არხ-კილომეტრით. შეიქმნა არხების ახალი მძლავრი კონა როგორც შემოვლითი კავშირისათვის, ისე საბაბინტერო ტელეფონირებისათვის.

თბილისის ცენტრალური ტელეფონის მუშაობამ საეჭსლოატაციოდ გადასცეს ახალი შემეჩიდრეების აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა ტელეფონის 2 წყვილ ხაზში ერთდროულად 12 სატელეფონო კავშირი განხორციელდეს. ამ აპარატურის დანერგვაში თავი ისახელეს ინჟინერებმა კ. ინანაძემ, ა. გრიშენკომ და ტ. ოთარაშვილმა. მართვის ავტომატიზაციისა სისტემების ინფორმაციის გადასაცემად გათვალისწინებულია რესპუბლიკაში გამოყენებულ იქნას ახალი სატელეფონო აპარატი

სურათზე: თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პირველი კლასის ტელეგრაფისტი ლ. კოჯორი. ახალგაზრდა მუშაკი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია, უოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ა. ანდრიაძის ფოტო.

მიფრინავს „კოსმოს-556“

1973 წლის 5 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-556“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკვლევი).

სკკპ ქრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პლენუმი

ქრასნოდარი, 4 მაისი. (სპეციალური მხრ.). დღეს გაიმართა სკკპ ქრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა გააფთავისუფლა ვ. ხ. ზოლოტუხინი სკკპ ქრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნისა და სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის დამზადების მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

სკკპ ქრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ხ. ო. მედუნოვი, რომელიც მანამდე ქრასნოდარის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი.

საერთაშორისო ლენინური პრემიის

ქრონიკა

ქმბები, ფაქტები, მოვლენები

მშვიდობის საქმის წინაშე დამსახურების აღიარება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის ლ. ი. ბრეჟნევისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება კვლავ მსოფლიოს ხაზოგადოებრიობის უურადღების ცენტრშია.

ბუდაპეშტი. ლ. ი. ბრეჟნევმა მთელ მსოფლიოში მოიპოვა ევროპაში ვითარების ნორმალიზაციისათვის აქტიური მებრძოლის დიდი ავტორიტეტი, იმისათვის, რომ ევროპა გახდეს მტკიცე მშვიდობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონტინენტი, წერს გაზეთი „პეტშეი პირველი“. ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომ ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, რომლის კეთილსაყოფელი განვითარება მნიშვნელოვანია არა მარტო ორი ქვეყნის, არამედ აგრეთვე მთლიანად საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით.

ვარშავა. საბჭოთა ხელმძღვანელის საქმიანობამ და პირადად ამსანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წვლილმა მსოფლიო და უწინარეს ყოვლისა ევროპა დაუანძოა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის პრაქტიკული რეალიზაციის ეტაპს, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“.

ბერლინი. გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ ხაზს უსვამს, იმ დიდ წვლილს, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა შეიტანა სკკპ XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან საბჭოთა ხელმძღვანელების პირადმა მოლაპარაკებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე. გაზეთი ვამოიქვამს რწმენას, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკის შემდგომ განხორციელებას.

ხელსინკი. გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული მშვიდობისათვის ბრძოლის საბჭოთა პროგრამა. ლ. ი. ბრეჟნევი უდიდეს ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

ჰელსინკი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ყველაზე თვალსაჩინოდ დადასტურებულად ითვლება საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარეობას, აღნიშნავს მოწინავე სტატიები „ტასსან უუტისტი“. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული კურსის წარმატება ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შორსმჭვრეტელობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველმყოფელი ძალის გამოვლინებაა. განუწყვეტლივ იზრდება ხალხთა ნდობა და ავტორიტეტი, რომლებითაც საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სარგებლობს. ამჟამად ისინი გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო მოვლენებზეც მშვიდობის სასარგებლოდ.

ნიკოზია. „კვიპროსელები ერთხმად შეუდგნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანნუმ. — ეს ამ ჯილდოს ღირსია. ბრეჟნევი — ლენინის ერთგული მოწაფე — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას. სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულმა მშვიდობის პროგრამამ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე ხელი შეუწყო“.

დელი. „ლ. ი. ბრეჟნევისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ლენინური პრემიის მინიჭება მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პირადი წვლილის დიდ აღიარებას დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში“, — აღნიშნავს ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო.



ოლარის გაუფასურებამ პანიკა გამოიწვია დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფო ძალულია გახდა გადაეფასებინა თავისი ვალუტა.

საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თავ ზხარს უჭერს მტკიცე პარიტეტებს, რომლებიც დაფუძნებულია ოქროს სტანდარტზე, და დაამტკიცა ფრანგული ფრანკის ოქროს პარიტეტი. ამით საფრანგეთი ინარჩუნებს უცხოეთის ბაზარზე თავისი საქონლის კონკურენციის უნარს.

ხურათზე: პარიზის ბირჟაზე.

აუპ-სპეციალური ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკი

მშვიდობის პოლიტიკის მხარდაჭერა

5 მაისი. (სპეციალური). „აკაბარობა დიდ ვალია საბჭოთა კავშირის წინაშე ამ მეტად მნიშვნელოვანი როლისათვის, რომელსაც იგი ასრულებს, როცა ხელს უწყობს საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაციას და შეუპოვრად იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის“. — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს „ნიუ-უორლდ ტრეიდუს“ რედაქტორმა ჯესიკა სმიტმა.

ჯესიკა სმიტმა განაცხადა, რომ მშვიდობის ეს პოლიტიკა კიდევ ერთხელ დაადასტურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ პლენუმზე, რომელაც მოიწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ამის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ ორი წლის წინათ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა.

„ისტორიაში არც ერთ მთავრობას, — თქვა მან, — არასდროს არ წმოუყენებია მშვიდობის ესოდენ ბამბილი, რომელიც მთლიანად შეესაბამება პირველად ლენინის მიერ. გამოცხადებულ კურსს. საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს ამ პროგრამას, და ამის შედეგად სულ უფრო იზრდება მისი გავლენა მშვიდობის საქმეში. საზოგადოებრიობა სულ უფრო მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ მოეწყოს მსოფლიო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე, დაიღოს ხელშეკრულებანი საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ. უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო საბჭოთა კავშირის წინადადებამ უშშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

ჯესიკა სმიტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა უდიდესი წვლილი შეიტანა მშვიდობის საქმეში, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ვიეტნამელ ხალს ომერიკელიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეკონომიკა

მდგომარეობა კამგოჯაში

5 მაისი. (სპეციალური). კამბოჯელი პატრიოტები კვლავ მძლავრად უტევენ ანომპენის ჯარების პოზიციებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საინფორმაციო საგენტოები აღნიშნავენ, რომ განვლილ დღე-ღამეში ფეიერაზე გაფთრებული ბრძოლები იყო პროვინციული ცენტრის ტაკეოს მიდამოებში 60 კილომეტრზე კამბოჯის დედაქალაქის სამხრეთით და ამ სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი პუნქტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში.

პატრიოტთა არტილერიამ მძლავრი ცეცხლი დაუშინა ანომპენის ჯარების მთელ რიგ საყრდენ პუნქტებს კამბოჯის დედაქალაქის უსლოიც მიხადგომებთან და ქალაქ ტრამბნარის რაიონში, 32 კილომეტრზე ანომპენის სამხრეთით.

პატრიოტები მოწინააღმდეგის ჯარებს ყველგან აფენენ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის ზარალს.

ეკონომიკა

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის

ნიუ-იორკი. (სპეციალური). „ნიუ ბანკერსის“ ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ დეიდ როკფელერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობაში „სულ უფრო შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებანი“. მან ბოთქვა ამასი, რომ ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის განვითარება „ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების მტკიცე ხიდის გადებას, რომელიც მრავალი მომდევნო წლის მანძილზე ქმედითი და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ნიშული იქნება“.

საკდესის კორესპონდენტის შეკითხვაზე, მისი აზრით რა პროგრესია მიღწეული შარშან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძველებში“ დასახული მიზნების განხორციელების საქმეში, როკფელერმა უპასუხა, რომ „ამ დღეებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის საკითხებში იგრძნობა თანხმობის ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს კარის გაღებას“. მან განაცხადა, რომ „ჩეზ მანჰეტენ ბენკი“ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ბანკი — „კმაყოფილია, რომ მიაღწია ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან ახალ საქმიან გარიგებათა თაობაზე“. ფინანსისტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის საგარეო სავაჭრო ბანკმა და „ჩეზ მანჰეტენ ბენკმა“ ხელი მოაწერეს უკანასკნელი 50 წლის მანძილზე უდიდეს საკრედიტო შეთანხმებას ამერიკის ბანკსა და საბჭოთა კავშირის შორის. გარდა ამისა „ჩეზ მანჰეტენმა“ მოსკოვში გახსნა საკუთარი წარმომადგენლობა. „ამ წარმომადგენლობის გახსნა, — თქვა დ. როკფელერმა, — დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ეკონომიური თანამშრომლობის მეოხებით შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის უფრო მჭიდრო ურთიერთობის განვითარების დიდი ხნის მიზნის მიღწევის გზაზე“.

დასასრულ როკფელერმა გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებას შეუძლია გზა გაუკაფოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფას.

ეკონომიკა

შეთანხმებანი ზუსტად უნდა შესრულდეს

5 მაისი. (საკვლევი). ვიეტნამის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნავსებით უჭერს მხარს 6 პუნქტიან წინადადებას სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის მოწესრიგებისათვის, რომელიც წამოაყენა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვიეტნამის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები და ყველა წევრი სამხრეთ ვიეტნამის ინტელიგენციასთან და ყველა ვიეტნამელთან ერთად გადაჭრით მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და საოგონის ადმინისტრაციამ უსუსტად და ხრულად განახორციელონ პარიზის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის

ნიუ-იორკი. (სპეციალური). „ნიუ ბანკერსის“ ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ დეიდ როკფელერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობაში „სულ უფრო შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებანი“. მან ბოთქვა ამასი, რომ ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის განვითარება „ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების მტკიცე ხიდის გადებას, რომელიც მრავალი მომდევნო წლის მანძილზე ქმედითი და მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ნიშული იქნება“.

საკდესის კორესპონდენტის შეკითხვაზე, მისი აზრით რა პროგრესია მიღწეული შარშან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძველებში“ დასახული მიზნების განხორციელების საქმეში, როკფელერმა უპასუხა, რომ „ამ დღეებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის საკითხებში იგრძნობა თანხმობის ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს კარის გაღებას“. მან განაცხადა, რომ „ჩეზ მანჰეტენ ბენკი“ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ბანკი — „კმაყოფილია, რომ მიაღწია ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან ახალ საქმიან გარიგებათა თაობაზე“. ფინანსისტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის საგარეო სავაჭრო ბანკმა და „ჩეზ მანჰეტენ ბენკმა“ ხელი მოაწერეს უკანასკნელი 50 წლის მანძილზე უდიდეს საკრედიტო შეთანხმებას ამერიკის ბანკსა და საბჭოთა კავშირის შორის. გარდა ამისა „ჩეზ მანჰეტენმა“ მოსკოვში გახსნა საკუთარი წარმომადგენლობა. „ამ წარმომადგენლობის გახსნა, — თქვა დ. როკფელერმა, — დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ეკონომიური თანამშრომლობის მეოხებით შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის უფრო მჭიდრო ურთიერთობის განვითარების დიდი ხნის მიზნის მიღწევის გზაზე“.

დასასრულ როკფელერმა გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებას შეუძლია გზა გაუკაფოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფას.

ეკონომიკა

„ჩეზ მანჰეტენ ბენკი“ — „ბანკერსი“

„ჩეზ მანჰეტენ ბენკი“ — „ბანკერსი“

„ჩეზ მანჰეტენ ბენკი“ — „ბანკერსი“

ეკონომიკა

დაკვგმოთ ყველა მაკვნე ტრადიციას!

ვისთვის რეკავს სკოლის ზარი

როცა მშობლები მრუდე გზისაკენ უბიძგებენ შვილებს

ეს ამბავი ხულოს რაიონის მაღალმთიან სოფელში მოხდა. შარშან შემოდგომაზე მე-7 კლასის მოსწავლე ლიანა ფ. ე. (გვარს საქვეყნოდ აღარ ვაცხადებთ, გოგონას ისედაც ბევრი რამ გადახდა თავს) მშობლებმა ძალად გაათხოვეს. ექვსი თვის შემდეგ ძალით შექმნილი ოჯახი დაინგრა, ადამიანები, რომლებიც დასამუყრებლად იღვწოდნენ, ერთმანეთის მტრად იქცნენ.

მიზეზის გასაგებად მთაში ავედით.

— იგი მთელ სკოლაში გამოირჩეოდა, მიმზიდველი, მზიარული, მუყაითი, — გვითხრა ჩვენმა თანამგზავრმა პედაგოგმა ქალმა, — განსაკუთრებით მათემატიკი იყო გატაცებული, ჩვენც ხელს ვუწყობდით. რა დროს მახი გათხოვება იყო, უმწიფარი ბავშვი ძალად მოგლეჯეს დედის კალთას. ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, არაფერი გაგვიგია. პარასკევს დაინიშნა, შაბათს სკოლაში არ მოსულა, კვირას პატარა ჭორწილი გადაეხადათ, გახმაურებისა ეშინოდათ, იცოდნენ, რომ არ დავანებებდით, ჩვენ როგორც კი გავიგეთ, მაშინვე მილიციას ვაცნობეთ.

ბიშკართან ოჯახის დიასახლისი შემოგვეგება. ჩემი შვილი სახლში არ არსო, ცივად მიგვიღო. სტუროლა, ვიცოდთ, რომ მძიმე ხულიერ მდგომარეობაში მყოფი გოგონა სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა. ჩვენმა თანმხლებმა პედაგოგმა ძალად შეაღო ეზოკარი და ეზოში შევიდა. ამის შემდეგ დიასახლისს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ჩვენც მიგვიპატიჟა.

ოთახში ფანჯარასთან ატუზულიყო თოთხმეტიოდე წლის გამხდარი, ფერმიხდილი გოგონა. მიმზიდველ სახეზე აღბეჭდვოდა გადატანილი მძიმე განცდები. გულაჩუყებულს ზოგჯერ ცრემლი ერეოდა,

ოთახის ერთ კუთხეში პატარა მაგიდაზე ეწყო სახეკლო სახელმძღვანელოები, კედელზე გაკრული იყო ბავშვის მონდომებული ხელით შესრულები ცხრილი. ეტყობოდა, გოგონას ნივთებისათვის ხელი არავის ეხლო.

პირველად სიტყვა ვერ დავაძვრევინეთ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ჩვენ დასახმარებლად ვეყავით მისულნი, გულახდილად, დალაგებით მოუყვა ყველაფერს.

პარასკევს სკოლიდან დაბრუნებულმა ტახტზე ამოალო ჩემოდანი შენიშნა. გაუკვირდა, თავი ახადა, ხაკაბეებზე საგანგებოდ დაეწყოთ ოჭროს ხათი, ბუჭლები და საყურეები. ყველაფერს მიხედა. ჩემოდანი უმალვე დახურა. მაშინ დედა დაუტაკა, — კარგი ბიჭია, გაღმა სოფელში ბრიგადირად მუშაობს, მდიდარია, ბედი კარზე მოგადგაო. — რას ამბობ, დედა, — შეედავა გოგონა, — ჯერ უნდა ვისწავლო, გათხოვებას შემდეგაც მოვესწრება. — დედამ ხელები გაბახვაკა, მამაშენს ბიჭისთვის სიტყვა მიუცია. ხალამოს დასანიშნად მოვლენ, ხაქმე გადაუწყვეტიათ, მთელ ყვარს მტრად ხომ არ მოიკიდებო.

დედაშვილი დიდხანს დავობდნენ, ხაქმეში ახლო ნათესავებიც ჩაერიენენ, მაგრამ ლიანასთან ვერაფერს გახდნენ, გათხოვებას სიკვდილი მირჩევნიაო, უარზე იდგა გოგონა, ბოლოს ლაპარაკში მამაც ჩაერია, ჯერ დაყვავებით სცადა, მაგრამ გოგონას რაკი თანხმობა ვერ ათქმევინა, შვილს მავარდა და ნაწნავებში წაავლო ხელი. შეშინებული, აცახცახებული ლიანა მამას ძლივს გამოსტაცეს. მოკლედ, ძალა აღმართს ხნავსო, რომ იტყვიან, ისე მოხდა.

ბედნიერება, რომელსაც ლიანას ჰპირდებოდნენ მოჩვენებითი აღმოჩნდა. გოგონა ადრინდელ ფიქრებსა და ოცნებებს თავს ვერ აღწევდა, დილით სკოლისაკენ მიმავალ თანატოლებს სევდით აყოლებდა თვალს. მთა ბედს შენატროდა. ორი დღის შემდეგ მილიციის თანამშრომელი მოვიდა. ძალად ხომ არ გგათხოვესო, ჰკითხა. რა უნდა ეპასუხნა, ვერც მამა გახერა, ვერც ქმარი. მდგომარეობის გამოსწორება აღარაფრით შეიძლებოდა.

ჩქარა ნათელი გახდა, რომ ლიანას მოუმზადებელი ბავშვი ეყოლა. ერთი ნიჭყვეთის ბიბლიოთეკიდან ამოიღეს ბებერი ბებერ-ბებერ ბებერ-ბებერ ... ...

მეცნიერი და პედაგოგი

აკადემიკოს ვ. გულისაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვასილ ზაქარიას-ძე გულისაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა საყვარელი საქმისადმი თავდადების, წესიერებისა და თავმდაბლობის, მამულის მხურვალე სიყვარულის, დაუცხრომელი ენერგიის ნათელი მაგალითია. დაბადებიდან შვიდი ათეული და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეესრულდა ვ. გულისაშვილს. იგი დაიბადა 1903 წელს ქ. თბილისში, საშუალო განათლება მიიღო თბილისის მე-5 გიმნაზიაში, შემდეგ ლენინგრადში დაამთავრა სატყეო-ტექნიკური აკადემიის ორი ფაკულტეტი — 1926 წელს სატყეო მეურნეობისა და 1931 წელს — დაუსწრებელი ქიმიური ტექნოლოგიისა.

1927 წელს იგი მუშაობს ლენინგრადის სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში ტექნიკოსად, 1927-1930 წლებში ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასისტენტი და შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1930-1931 წლებში მუშაობს ლენინგრადის ზოოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის დოცენტად.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ვ. გულისაშვილმა ჯერ კიდევ ლენინგრადის სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში სტუდენტობის დროს დაიწყო. ლენინგრადში მუშაობისას მან სამეცნიერო შრომები მიუძღვნა მერქნიანი მცენარეების ბიოლოგიის (კერძოდ ვერხვის), სატყეო გეობოტანიკის (ტყის ტიპოლოგიის), სატყეო ნიადაგმცოდნეობის აქტუალური საკითხების შესწავლას. სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასთან ერთად ლენინგრადში ვ. გულისაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა.

1931 წელს ვ. გულისაშვილი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც განაგრძს ზოგადი მეტყევეობის კათედრას და კითხულობს მეტყევეობის სრულ კურსს. ამავე წელს მას ენიჭება პროფესორის წოდება.

1932 წლიდან 1944 წლამდე ვ. გულისაშვილი მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე: ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მეტყევეობის კათედრის გამგედ, თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის ეკოლოგიის განყოფილების გამგედ, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად.

1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სატყეო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლის დაარსებიდან დღემდე ვ. გულისაშვილი მისი უცვლელი დირექტორია. მან დიდი მუშაობა გასწია მთის ტყეების წყალშემნახი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობისა და მათში მეურნეობის წარმოების მეცნიერული დასაბუთების დარგში, რასაც საფუძვლად დაედო ტყის ნიადაგების ფიზიკური თვისებების ღრმა შესწავლა სხვადასხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამავე პერიოდში ვ. გულისაშვილმა ფართოდ გაშალა მუშაობა კავკასიაში ტყისშემქმნელი მერქნიანი ჯიშების — წიფლის, ნაძვის, სოჭის და ძელფიფასი რელიქტური ჯიშების — ძელქვის, წაბლის, ურთხმელის და სხვათა ბიოეკოლოგიის, გეოგრაფიის და ზრდა-განვითარების შესასწავლად. 1936 წელს მან გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „მეტყევეობა“, ხოლო 1944 წელს — ორტომიანი სახელმძღვანელო „მეტყევეობა მეცნარეთა ეკოლოგიისა და გეოგრაფიის საფუძვლებით“.

ვ. გულისაშვილის კალამს ეკუთვნის მეცნიერული შრომები, რომლებიც ეხება კავკასიონის მცენარეულობის ბუნებრივ დარაიონებას ვერტიკალური სარტყლიანობის დადგენის გზით, კავკასიონის მაღალმთიან სარტყელში ტყის ყომრალი ნიადაგების ძირითად თვისებათა ცვალებადობას და მათი პროგრადაციის საკითხს, აგრეთვე მეცნარეთა ფიზიოლოგიის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები უცხო მერქნიანი ჯიშების ზრდის რიტმისა და აკლიმატიზაციის შედეგების შესახებ, რომლებსაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გაგაფენების და გამწვანების ხაქმეში. მეტად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მის შრომებს აგრეთვე მთის ტყეებში მთავარი ხარეებლობის ბერების სისტემათა დადგენისა და მათში მეურნეობის წარმოების საქმეში. ყველა აღნიშნული საკითხი გაერთიანებულია მის კაპიტალურ შრომებში „ზოგადი მეტყევეობა“ და „სამთო მეტყევეობა“, რომლებიც თარგმნილია უცხო ენებზეც.

საბჭოთა მეცნიერების წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ვ. გულისაშვილი 1944 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1955 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

აკადემიკოს ვ. გულისაშვილს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 10 მონოგრაფია. განსაკუთრებული ყურადღებას ღირსია მისი მონოგრაფიული შრომა „კავკასიის ბუნებრივი ზონები და ბუნებრივ-ისტორიული ოლქები“. მისმა ბოლო ორმა მონოგრაფიამ „სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის მერქნიანი მცენარეულობის წარმოშობა და მისი მემკვიდრეობითი თვისებების თავისებურება“ და „მცენარეთა სტადიურობის განვითარება მათ წარმოშობასთან დაკავშირებით“, რომლებიც მარადალი წლის დაუღალავი შრომის ნაყოფია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა აკადემიკოს ვ. გულისაშვილის მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ოთხი ორდენითა და მედლებით.

თავისი დაბადების 70 წლისთავზე ვ. გულისაშვილი ხვდება შემოქმედებითი ენერგიითა და ძალღონით სავსე. იგი დაუცხრომელი ენთუზიაზმით განაგრძობს აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ შრომას.

მ. საბაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიკოსი,

ნ. კეცხოველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

7 მაისი რადიოს დღეა



ლაბორატორიებიდან უცხოეთებისაკენ



დღეს რადიოს დღეა. ეს ხელოვნები „კოსმონავტმა“ ფოტოკორესპონდენტმა ხ. კილაძემ გუშინ გადაიღო ფუნიკულიორის კლატოზე და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში.

ხულ მალე ჩადგება მწყობრში ახალი სატელევიზიო კოშკი (ხელოვნი მარკვნივ). მარცხნივ — ტელევიზიული მიმდინარეობა მორიგი გადაცემა.

ფეხბურთი

„ზენიტის“ პირველი გამარჯვება

გუშინ მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის მეექვსე ტურის პირველი კალენდარული მატჩი — დედაქალაქის „ტორპედო“ შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს“.

თამაშის ძირითადი დრო თითქოს უგოლოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე 3 წუთით ადრე ლენინგრადელთა ნახევარმცველმა ვიუნმა გიტანა ბურთი, რომელმაც წარმატება მოუტანა „ზენიტს“. აღსანიშნავია, რომ ეს ლენინგრადელ ფეხბურთელთა (უფროსი მწვრთნელი სპორტის ოსტატი გ. ზონინი) პირველი გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში.

ლუბლიორთა ასპპარეზობა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე თბილისელი დინამოელები მასპინძლობდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელებს.

მიუხედავად რამდენიმე საოლე მომენტისა მეტოქეებმა 90 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხეს ბურთის გატანა — 0:0.

დაინიშნა 11-მეტრიანი ხაჯარიმო დარტყმების სერია. თბილისელებმა (კანთელაძე, გ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ცინცაძე), ოთხჯერ მიაღწიეს წარმატებას, სტუმრებმა კი — მხოლოდ სამჯერ (ორივე ბურთი აიღო მეკარე გაგოშიძემ).

4:3 — ამ ანგარიშით დინამოელებმა გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ: გაგოშიძე, ხიზანიშვილი, კანთელაძე, მელაძე, პეტრიაშვილი (მუჯირი), მჭედლიშვილი (კოპალეიშვილი), კუტივაძე (ჩხეიძე), გ. მაჩაიძე, მამეხწარაშვილი, ცინცაძე, შერეზადაშვილი (ჯაფარიძე).

დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება ამავე გუნდების ძირითად შემადგენლობათა შეხვედრა.

ქალთა ჭადრაკი საერთაშორისო

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები. ხუგაშვილმა წაგო შულთან და ყაიზენ შეუთანხმდა ანდერეევას. კობაიძემ წაგო კონიპლიოვასთან. ჰაიდაროვა დამარცხდა ბეტკერთან და ყაიზენ შეუთანხმდა გაჩერილაძეს.

ამჟამად წამყვან მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: 6 ქულა აქვს მსოფლიოს ჩემპიონ გაფრინდაშვილს, 6,5— საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრიას, ექვს-ექვსი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონ შულსა და საერთაშორისო ოსტატ კონიპლიოვას.

მეხუთე-მეექვსე ადგილებს ახლა იფყოფენ ნორჩი მოჭადრაკეები ჩიბურდანიძე და გაჩეჩილაძე, რომლებიც ამ ტურნირში ჩინებულად თამაშობენ. მათ 4,5 ქულა აქვთ თვითეულს.

ველო პირველი სტარტები

თბილისის ველოსტადიონზე დაიწყო ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ველოტრეკში.

უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. სპრინტერულ რბოლაში გამარჯვება მოიპოვა არმიელმა ოერი ზერმაზანოვმა, რომელმაც ნახევარფინალში დამარცხა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, განთიადელი იგორ ვოლკოვი, ხოლო ფინალში მოუგო მის უმცროს ძმას — გლებს (იგი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების წევრია).

სამაგალითო ი. ვოლკოვი უძლერესი იყო 6ოტში 500 მეტრზე — 30,2 წამი.

შეჯიბრება 7 მაისამდე გასტანს.

ვ. შენგელია.

მეორე ლიგაში

ბაიმარშა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის (მეოთხე ზონა) მორიგი მაგრები.

აი მასში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგები: ბათუმის „დინამო“-ტამბოვის „რეგატედი“ — 4:1; მახარაძის „მერეცხალი“-ვორონეჟის „ტრუდი“ — 0:2; სამტრედიის „ლოკომოტივი“-ვლადიმრის „მოტორი“ — 0:2; გორის „ლილა“-რიაზანის „სპარტაკი“ — 5:2; სოხუმის „დინამო“-ვოლოგდის „დინამო“ — 1:0; ფოთის „კოლხიდა“-კოსტრომის „სპარტაკი“ — 0:2; ლანჩხუთის „გურია“-რიბინსკის „სატურნი“ — 1:0.

მინიატურები

ჯურის ნატეხი

ქვაფენილზე პურის ნატეხი ეგდო.

ჩიტარა ეპბუკმა, დახედა, გეერდი აუარა და გზა განაგრძო.

მიუახლოვდა ხანდაზმული კაცი. გაჩერდა, თავი გაიქნია, დაიბარა, აიღო, სული შეუბერა, ეამბორა და ხიდის მოაჯირზე შემოსდო...

ასევე ხდება...

ბაჩარეულასთან ანტიკუნტად იდგნენ ადამიანები, ტროლეიბუსს უცდიდნენ. უზარმაზარი ჭადარი აგვისტოს თაკარა მზის მხურვალებისაგან იცავდა მათ. ჭადრის ჩრდილიდან ნაკადულის დუდუნივით მოისმოდა ქალ-ვაჟის ლაპარაკი.

ქალიშვილი ცოდან მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავდა, ვაჟი ავთვალს არ ეგანებოდა. რა ტანადობა, რა სახე, რა თვალები, ცხვირი, შუბლი, ახალშელრებული! ულვაშები!..

მათი შეხედვით ეტყბებოდა, რაც უფრო ეუახლოვდებოდა, მით უფრო სული მინათლდებოდა და მეძალებოდა ცნობისმოყვარეობა, რომ იმ ნაკადულის დუდუნს ჩავწვდომოდა.

მაგრამ ჰოდ, საოცრებავ!..

— ჰა, ტო, მოდიხარ თუ არა?

— არა, დედას ვფიცავარ, არა მცალია...

— წადი... — და ყური ხაშინელმა უწმაწურმა სიტყვამ გამიხვრიტა.

ერთბაშად გაჭრა იმ ვაჟის ბირვანდელი ხატება.

ამ უდიერ მოპყრობას არ აპატიებს ქალიშვილი, გაიცლება-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ ქალიშვილს ფეხიც არ მოუცელია, ოდგა და იცინოდა.

სჯობდა არ მეცნა...

უაღალამის პირზე მეზობლის კართან უჩვეულო ჩხაკუნი მომესმა, ვიღაცა საკეტის გატეხას ცდილობდა. სათვალთვალოდან გავხედე და, თითქოს მრეი დამეცაო, კინაღამ იქვე ჩავიკეცე... ვიცანი... მოღუნული ძალაყინი ეპირა და კარს ეტრიალებდა...

წამით გარინდებული ვიდექი. ამ უმეცრეს დროში თვალწინ დამიდგა ლედ-მამის კინკლაობით გატანჯული ბავშვის ეკლიანი გზა... ის მეცხრე კლასიდან ჩამომორდა სკოლას, ჩვენ, პედაგოგები, მისი ასავალ-დასავალთან ალარ დავინტერესებულვართ. ხუთი წელიწადი ალარ მენახა. და ახლა, როცა საფთვალთვალოდან ეუყურებდა, უკმარობის გრძნობამ შემიპყრო. რაც იქნება იქნება-მეთქი, გავიფიქრე, და ჩემი ბინის კარი ჯიქურ გამოვაღე.

იგი არ მოელოდა. ისეთაც ალგზნებული თვალები კიდევ უფრო ეეცხლოვანი გაუხდა, ისიც ჯიქურ მოსწყდა მეზობლის კარს, ძალაყინი ალმართა და ჩემკენ გამოემართა, ალბათ ჩემს დასახელად, ხელის შეშლა რომ გაებედე, მაგრამ უცბად მოწყსხულივით გაჩერდა, თვალებში სითბო ჩაუდგა, ძალაყინი დაუშვა და დამნაშავედ ჩაიღიმა:

— ბოდიში, მასწ. თქვენნი ხართ!.. კინაღამ ვერ გიცანი...

— სჯობდა არ გეცნე, შე ჩემი ცოდვით სავსევ! — და ახლა კი ნამდვილად იქვე ჩავიკეცე...

ევრილოქეს ძმაკაცი

ნამდვილი ამბავი

ის-ის იყო კუს ტბაზე დილის ვარჯიში დავამთავრე, დაღმართს ჩავუყვი, ჭაკვაკაძის გამზირზე გავედი და ასევე ქვეითად ვაპირებდი სასლამდე მისვლას, რომ „ვოლგა“ პირდაპირ ცხვირწინ გამიჩერდა. მანქანიდან ჩასუქებული კაცი მიეინოდა.

მაშინვე ვიცანი, ჩემი სტუდენტობის მეგობარი ტუპია ტომარაძე იყო. მანქანაში მიმიწვია. უარის თქმა მინდოდა, ფეხით ვაპირებდი სასლამდე დარჩენილი მანძილის გავლას, მაგრამ ტუპიას უარი ვერ შევაღერე და შეე „ვოლგაში“ მოვიკალთე.

— წყნეთიდან მოვდივარ, — მითხრა მან, — ნოსტალგია, იქ ყველაზე კარგი ზოთი ცხვება. აგარ, უკან აწყვია, ხელს დაგიწვავს, ისეთი ცხელია. აიღე, ჯეკ მოტეხე, — უკან მივისვედ, ზოთი პურის მთელი დასტა ვწყო.

— წვეულება გაქვს?

— ჩემს ოჯახში ყოველდღე წვეულებაა. რა ვქნა, მიყვარს ხვიანი პურ-მარილი. ალა შიმშილით თუ მოეკალი თავი, რა ფასი აქვს ასეთ ცხოვრებას. თუ დრო გაქვს, ბაზარში გამომყევი, ბაზადგნა ვილაპარაკოთ, გაგიხსენთო ჩვენი სტუდენტობის წლები. გახსოვს, სტიპენდიის მოლოდინში ერთ ლიტრს რომ ვაკაწკაწებდით, რამდენჯერ მარტო ყველსა და პურზე გვიქეიფია, თოჯზე გადასაკიდებლებს ვეგვლინა. ანა, შენ კარგი ცხოვრების ასლაც არაფერი გეტყობა, ისეე საჩოხე წელი გაქვს. ალბათ ძველებურად ვარჯიშობ. მე ამის საშუალება და დრო არა მაქვს, — მითხრა ტუპიამ, გადმომხედა და ვეებერთელა მუცელზე კოტტა ხელის თითები მოითათუნა.

— დრო არც მე მაქვს, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშისათვის კაცმა ყოველთვის უნდა მოიცალოს. ყოველდღე დილის ექვსი სათისათვის კუს ტბაზე ვარ. ორ საათს დავრბივარ, ვიტუნაობ, შინ ვბრუნდები, შხაპს ვიღებ და სამსახურში მივდივარ.

— მე მაგ დროს სახაშეში ვარ და ვსაუზმობ, — სიტყვა მომიჭრა ტუპიამ.

ჩვენს ხაუბარში „ვოლგა“ ბაზრის ალაყაფს მიადგა. ტუპიამ ჯერ ხორცის განყოფილებას მიაშურა, მეც უკან გავყევი.

— ჩემი ნაცნობი ყასაბი არა ჩანს, ალბათ დასვენების დღე აქვს. არა და როგორ მინდოდა ღორის სუკები.

ვიღაც უცნობმა ტუპია გვერდზე ანიხმო. ხმადაბლა მოილაპარაკეს, შემდეგ უცნობი საღაც გაქრა, სასაჩუქროსაგან სახეგაბადერული ტუპია კი ჩემთან მოვიდა.

— არის ღორის სუკები!

ის უცნობი კვლავ გამოჩნდა, ტუპიას ჩანთაში რაღაც ჩაუწყო, ერთმანეთს ანგარიში გაუსწორეს და ასლა სხვა განყოფილებისაკენ გავეშურეთ. ტუპიამ იყიდა დანარჩენი ხორაგი — კარტოფილი, მწვანილი, ბოსტნეული, პირთამდე აავსო ჩანთა და წავედით. ხეწეშით ჩაიარა კიბე, „ვოლგაში“ ძლივს ჩაჯდა. ჯერ ცალი ფეხი შეიტანა, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, ხელების დახმარებით მუცელიც შეაგდო, მანქანა აამუშავა, დაძრა და მითხრა:

— აი ეს არის ფიზკულტურა! ვერხად გაგიშვებ, დღეს ჩემს განკარგულებაში ხარ. ჩემთან წავიდეთ, ვისაუზმოთ, საუზმეს სადილიც გადავბაკთ და ბედნიერად გავატაროთ დრო. რომ იცოდე, რა ღვინო მაქვს შინ, ნაღდია, შეუბილწავი.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. არ მინდოდა მოელი დღე უსაქმოდ დამეკარგა. მგონი, უსაქმობა ჰქვია იმას, როცა კაცი დღე და ღამე ჭამაზე ფიქრობს.

ტუპიამ ქვა აიღო და თავი შეუშვირა, მაგრამ ვერაფერს გახდა და დამნებდა ის პირობით, რომ შემდეგ კვირას ერთად გავატარებდით: მანქანით შინ გამომივლიდა და ბაზარში კვლავ ერთად წავიდოდით. გავიდა შვიდი დღე. კუს ტბიდან დაბრუნებულს სადარბაზოს წინ „ვოლგა“ დამხვდა, საჭესთან ტუპიას ჩაძინებოდა და მისი ხვრინვა იქაურობას აკლებდა. შინ ავედი, წყალი გადავივლე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ისევ ძირს ჩავედი. ტუპიას კვლავ ეძინა. მანქანის კარი რომ გავაღე, მაშინ გამოელვიძა.

— ვიღაცამ დამნავსა. წყნეთში ვიღაცეი, თოხე დაკეტილი დამხვდა, რემონტი ჰქონიათ. — მითხრა გულდაწყვეტილმა. — ავჭალაში უნდა წავიდეთ, იქაც კარგ პურს აცხობენ.

მანქანა სამხედრო გზას დაადგა. ჯერის მონასტრისკენ გზატკეცილს გავყვეთ. საცხობში ღუმელიდან ახალგამოღებული პურის სუნი ტრიალებდა. ხუთი ცალი გამოაროვა. მანქანაში რომ ჩავსხედით, ტუპიამ ვერ მოითმინა, ერთ პურს მოზრდილი ნაწილი მოჭკლიჯა და კარგა ხნის ნაშიშნილივი კაციკით ილუკმებოდა, თან უკვირდა, ასეთი მომენტი ხელიდან რომ გაეშვა — ცხელ პურს არ გაჭეკარე.

— შენ, ძმაო, ჭამა არ გაგიარებია, ალბათ ცოლ-შვილსაც ამიშშილებ. გეყოფა ჯამაგირი, აბა რა იქნება?

— შიშშილით დღეს არავინ კვდება, მაგრამ არც იმდენს ჭამენ, რომ ვეღარ მოერიონ.

რასაკვირველია, ტუპია არ მეთანხმებოდა, ყოველ ჩემს სიტყვაზე ხარხარებდა.

ხამიჯი ჩანთა კიბეზე მე ავიტანე, ჩემი მეგობარი უჩანთოდაც ძლივს ამობობდა, ორ ნაბიჯს გადმოდგამდა, ისეე შეისვენებდა.

— ტუპიას ოჯახში პირველად ვიყავი და, რასაკვირველია, მისი ბინის დათვალიერებით დავიწყე ვიზიტი. მშვენიერი ბინა ჰქონია.

— ფართობი არ გეყოფნის, — მითხრა ტუპიას მეუღლემ, რომელიც მეეზურობას მიწევდა. — ხუთი ოთახი გვაქვს, მაგრამ მაინც სივიწროვეა.

მართლაც ვიწროდ ცხოვრობდა ტუპია, ხუთივე ოთახში იმდენი ავეჯი ეწყო, გვერდის აქცევაც კი უჭირდა ერთ-ერთ ოთახში „ტელეფონ“ ეკიდა. ბავშვებს ეკეთებოდა ფეხსაცმელი, ერთ-ერთ ოთახში ბავშვი ეგდო, ეტყობა, ავადმყოფობა.

— ეს ბიჭი ოჯახის „ხოიუზპეჩატის“ ჯიუტია. ეს ბავშვი ბებიასთან ერთად ბაზარში ეგზავნება ხოლმე. ამ ბავშვებს ჯეუფი მის გარდაცვალებას იუწყვიდოდა.

ტუპიას დასაფლავების შემდეგ გამართულ ქელეხს ან დავსწრებივარ. მითხრეს ჩიტის რძეც არ აკლდაო, როგორც მას უყვარდა, ისე მოეწყო ყველაფერი. ეჰ, რამდენი აივსებდა კუჭს შილაფლავით, ხაშლამით, უზომო ღვინით. რამდენი ქშენით, სვენებ-სვენებით აუყვებოდა თავისი სასლის კიბეს, რამდენს გულს შეაწუხებდა რუმბიეით გაბერილი სტომაქი.

ზოგიერთი მეითხველი ალბათ ვერ მიმიხვდა, რატომ დავასათაურე ასე ტუპია ტომარაძის ამბავი. ბერძნულ მითოლოგიაში ვკითხულობთ: მერილოქმე იყო ოდისევსის ძმაკაცთა იმ პირველ ჯგუფში, რომელიც კირკემ ღორებად აქცია. ერთადერთი ევრილოქე არ მოტყვუდა ჯადოქრის ოინებით და ღორად არ იქცა. შემდეგ მან ეუნძულ ტრინაკრიაზე ძმაკაცებს ურჩია დაეკლათ და შეეჭამათ ჰელიოსის წმინდა ხარები. ამან დაღუპა ევრილოქე და მისი ძმაკაცებიც.

ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი მეგობრების იუმორი



— ამ წუთში ჩამოდი, თორემ ცუდად წავ-შენი საქმე!
— არ ჩამოვალ! ამის შემდეგ მაინც გაიგებ, ვინ არის ოჯახის უფროსი!

— მაშ ნამდვილად არ მიგიღია პრემია?

ჟურნალი „სოციალისტიჩესკაია ჩეხოსლოვაკია“.

7 მაისი

პირველი პროგრამით

10.05 — „დღის ვარჯიში ბავშვებისათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „30 წუთი კინომოყვარულებისათვის“, 11.30 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ველური ძაღლი დინგო“, 13.30 — „კინოაფიშა“, 14.05 — დოკუმენტური ფილმი „ერთობა“ (ქართულ ენაზე), 15.00 — მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — „ხოფლის საათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — ჩვენი სტუმრები, 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — კონცერტი, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი). შესვენების დროს — „ოგონიოკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (კიევი) — ფსკა. მეორე ტაიმი (გადმოცემა კიევიდან), 21.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — სატელევიზიო დადგმა „დაგვიანებული ყვავილები“, 22.55 — საესტრადო კონცერტი.

მეორე პროგრამით

19.15 — კინოპროგრამა, 20.05 — სატელევიზიო დადგმა, 20.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები“.

7 მაისი

პირველი პროგრამით

17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — მოსწავლეთათვის „სატელევიზიო ფოსტა“, 19.00 — „რადიოს დღე“, 19.10 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 19.25 — კონცერტი, 19.55 — ხვალ რადიოთი, 20.00 — საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — კინონარკვევი „ერთი დღე ენგურჰესზე“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — ტელეფილმი „არყის ხე“, 21.25 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, „ხაშშობლოს შვილები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — — რადიოს დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან),

მეორე პროგრამით

18.00 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა და ლიტერატურა მეათეკლასელთათვის — „როგორ მოვემზადოდთ გამოცდებისათვის“ 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.50 — ლექცია ფილოსოფიაში, 20.35 — მხატვრული ფილმი — „აგვისტოს თვე“.

6 მაისი

პირველი პროგრამით

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 12.15 — მოსწავლეთათვის. „კომკავშირული სიტყვა და საქმე“. რადიოკომპოზიცია, 13.00 — „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-სუბარი — „რ. შუმანი“, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ტ. ბაქრაძე. საფორტეპიანო ციკლი „სვანური ჩანახატები“, 14.45 — „მწვრილი მიკროფონთან“, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ბაქოდან, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — დიდები და პატარები“. „დედის გული“, 18.25— საესტრადო კონცერტი, 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (თბილისი) — „ნეფერ“ (ნოვოროსიისკი), შესვენების დროს ჩვენ — გერმანიის ფაშიზმისაგან განთავისუფლების 28-ე წლისთავის გამო (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ლიუბოვ შევცოდა“, 18.05 — საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს რუსულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი, 18.45 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 19.00 — ლიტერატურული კომპოზიცია „ნიკოლოზ ზაბოლოცკი“ (დაბადების 70 წლისთავის გამო), 19.45 — რადიოინარკვევი „რადიოტექნიკოსები“, 20.30 — ხ. პროკოფიევი. ოპერა „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, 23.30 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ფაქთა ვოკალური ოქტეტის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.





6 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — უცხო კაცი (დღისით), საბჭოლეგო დასტვენა (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია. დედა (დღისით), ქორწინება (საღამოს); ვახტ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანეს ქოშები (დღისით), სიმღერა ტყეში (საღამოს).

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 02652

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.